საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030128239835720

№ 01-394/ო **04 / აგვისტო / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის სამმართველოს, მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი"-ს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის სამმართველოს, მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა, თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე

„დანართი“

პოლიტიკის დეპარტამენტის დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის სამმართველოს, მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა

1. პოლიტიკის დეპარტამენტის დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის სამმართველოს, მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) **უმაღლესი განათლება** - სამართალი;

ბ) **სამუშაო გამოცდილება** - საჯარო სამსახურში სამართლის სფეროში მუშაობის არანაკლებ - 1 წელი;

გ) **უცხო ენა** - ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა;

დ) **კომპიუტერული პროგრამები** - (MS office Word, Excel, Power Point და Outlook) კარგ დონეზე ცოდნა.

2. პოლიტიკის დეპარტამენტის დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის სამმართველოს, მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;

დ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

ე) „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;

ვ) „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ზ) „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;

თ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი;

ი) „დევნილთა საცხოვრებელით უზრუნველყოფის წესი“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანება;

კ) „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის, განსახლების კრიტერიუმების, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანება;

ლ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილება.